# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №42

ქ. თბილისი

4 ივლისი 2017 წელი

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" - (შემდგომ "შემსყიდველი") ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.4. ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

## 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1. ერთის მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში შემსყიდველი), ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ლელა უზარაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ადა" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (კანონის მე–3 მუხლის, პირველი პუნქტის ,,ს1" ქვეპუნქტის თანახმად) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი (CPV კოდი 30200000) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) ლარს.

4.2. ფლეშმეხსიერების (USB ფლეშ მეხსიერების 32GB TEAM TC145332GY01 C145 3.0 DRIVE YELLOW RETAIL) (CPV კოდი 30234600) ღირებულება შეადგენს 27 (ოცდაშვიდი) ლარს, ხოლო შესყიდვის ობიექტის რაოდენობა შეადგენს 1 (ერთი) ცალს;

4.3. ფლეშმეხსიერების (USB ფლეშ მეხსიერების ბარათი 16GB TEAM TC162316GB01 C 162 3.0 DRIVE) (CPV კოდი 30234600) ღირებულება შეადგენს 23 (ოცდასამი) ლარს. ხოლო შესყიდვის ობიექტის რაოდენობა შეადგენს 3 (სამი) ცალს, სულ 69 (სამოცდაცხრა) ლარის ოდენობით.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

## 6.მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ლელა უზარაშვილი.
6.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 7. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №4.
7.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 7ივლისს ჩათვლით.

## 8.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
8.2.შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.4.მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს საქონლის მიწოდება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 7.2 პუნქტში.

## 9.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი. მიმწოდებელი ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისას ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს.
9.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. კონტროლს განახორციელებს სამინისტროს შესაბამისი პირი/პირები.
9.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, ნაკლი/ხარვეზი მიმწოდებელი ვალდებულია დაუყობნებლივ გამოასწოროს აღნიშნული.

## 10.ხარისხი და განატია

10.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა იყოს მაღალი ხარისხის;
10.2. ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

## 11.პირგასამტეხლო ხელსეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.
11.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
12.2.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
12.4. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
12.5.მხარე ვალდებულია 12.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
12.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 13.დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზეპლარი გადაეცემა ,,მიმწოდებელს'', ხოლო მეორე ,,შემსყიდველს''.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით.

## 17. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი:**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. № 15ა
ს/კ: 205308521, ტელ: 599855020, 599902348
სახელმწიფო ხაზინა
ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი TRESGE22

---

ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსი ლელა უზარაშვილი

**მიმწოდებელი:**

შპს „ადა"
ფაქტიური მის: ქ. თბილისი,
მიცკევიჩის ქ. №4
ს/კ: 405027830 ტელ:0322244030
სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
GE82BG0000000626529900

---

დირექტორი
გიორგი ღუღუნიშვილი